435	"ირაო"	112000	5	0	5	15914	0	15914	111398	7	602	99.46	10.22
436	"სალიეთი"	51000	6	0	6	2532	0	2532	50640	20	360	99.29	29.20
441	"ბურჯი"	14000	0	0	0	0	0	0	0	0	14000	0.00	0.00
443	"ტურისტი"	72000	1	0	1	5	0	5	225	45	71775	0.31	65.70
446	"ლაგოდეხი"	71000	0	0	0	0	0	0	0	0	71000	0.00	0.00
447	"მარტილი-94"	13600	15	0	15	223	0	223	10035	45	3565	73.79	65.70
448	"არგო"	540000	1	0	1	5	0	5	225	45	539775	0.04	65.70
469	"ჰყონდილი"	18000	0	0	0	0	0	0	0	0	18000	0.00	0.00
474	"აგოგაქნიკა"	60000	0	0	0	0	0	0	0	0	60000	0.00	0.00
478	"ექსტრა"	20000	4	0	4	579	0	579	19686	34	314	98.43	49.64
479	"შელა ეწერ.ჩაის აგროსამრ. კ-ტი"	252000	0	0	0	0	0	0	0	0	252000	0.00	0.00
480	"საგე. აგროსამრ. ფ-მა ნომ. 1)	88500	0	0	0	0	0	0	0	0	88500	0.00	0.00
525	"ცუმი"	64000	77	6	83	26247	772	27019	52494	2	11506	82.02	2.92
541	"გრანსპორტელი"	37500	0	0	0	0	0	0	0	0	37500	0.00	0.00
542	"ასი"	147000	9	0	9	244	0	244	10980	45	136020	7.47	65.70
544	"ფოთი-აგროსამრ. კ-ტი"	49000	0	1	1	0	50	50	2250	45	46750	4.59	65.70
604	"ბაღდათი"	57000	6	0	6	1895	0	1895	56850	30	150	99.74	43.80
610	"ჯვარი-94"	35000	6	0	6	778	0	778	34232	44	768	97.81	64.24
613	"სახელმწიფო კ-ტი"	74000	0	0	0	0	0	0	0	0	74000	0.00	0.00
621	"ოკამი"	139000	7	0	7	3532	0	3532	137748	39	1252	99.10	56.94
622	"ბიზნესცენტრი აგროსამრ. კ-ტი"	87000	1	0	1	4	0	4	180	45	86820	0.21	65.70
624	"რეა"	46000	19	1	20	1287	1	1288	45045	35	955	97.92	51.10
627	"ცემენტმზი-94"	9000	0	0	0	0	0	0	0	0	9000	0.00	0.00
630	"აქანა"	23000	2	0	2	511	0	511	22995	45	5	99.98	65.70
652	"მშენებლის იმედი"	28000	1	0	1	623	0	623	27412	44	588	97.90	64.24
669	"საქსამშენებლო"	69000	8	0	8	1938	0	1938	67830	35	1170	98.30	51.10
747	"ბოლნისის ნავთობპროდუქტი"	21000	3	0	3	887	0	887	20401	23	599	97.15	33.58
748	"ტრაქტორი"	185000	4	0	4	13159	0	13159	184226	14	774	99.58	20.44
	სულ:	3953600	273	13	286	96534	1333	97867	1777211		2176389	44.95	

განცხადება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონკურსის მართვის სამინისტროს აცხადებს კომპერციულ კონკურსს ახალგორის რაიონის ალუერის ფერმერული სახელმწიფო მეურნეობის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალი სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
 მეიჯარე: სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.
 საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა: 2150 აშშ დოლარი წელიწადში.
 საკონკურსო პირობა: მეურნეობის პროფილის შენარჩუნება.
 კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებაზეც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.
 კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა საიჯარო განცხადებების გამწვანებულ კომისიაში უნდა წარმოადგინოს განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- წესდება;
- მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებელი ანგარიშის ნომერი;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ;

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების გამწვანებულ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის ვეარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი მისამართი, საცხოვრებელი მისამართი, საპასპორტო მონაცემები.
 განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობაზე ნაკლები.
 თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე:

სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" ა/ა № 001141776, მფო 521017.
 განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილექება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.
 განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადების გამწვანებულ კომისიის მონარგავრით დაუთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
 განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.
 საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.
 სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა, განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.
შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ალუერის ფერმერული მეურნეობის მუშაკთა მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების გამწვანებულ კომისიას წარუდგენს განცხადებას მეურნეობის იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის (20.09.94 წ. № 555 I ს.) დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" მე-17 პუნქტის თანახმად აუქციონი აღარ გაიმართება და შენობა იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირი წესით გადაეცემა ამ ამხანაგობას.
 აღნიშნული ვადის გახვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განცხადების ალუერის ფერმერული სახელმწიფო მეურნეობის მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებით.
 განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების გამწვანებულ კომისიაში. მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, ოთახი № 307.
 ცნობებისათვის დარეკეთ: 29-00-06; 29-27-94

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონკურსის მართვის სამინისტრო



1. შესავალი

ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრივატიზებისა და რესტრუქტურირების პასუხისმგებელია ტროიანდშტალტის (შემდგომში აღინიშნება როგორც "ტპა") ინსტიტუტი. რესტრუქტურირება ტროიანდშტალტის მიხედვით "ტპას" სამთავროვო დოკუმენტია. თუმცა "ტპას" მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება სწრაფი პრივატიზება. კომპანიის რესტრუქტურირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია პრივატიზებისათვის. თუ რესტრუქტურირება შეუძლებელია, იწყება ლიკვიდაციის პროცედურა.

საჭიროა ერთმანეთისგან გავარჩიოთ აქტიური ანუ ოპერაციული და პასიური, ესე იგი იურიდიული ანუ ფინანსური რესტრუქტურირება. აქტიური რესტრუქტურირება, სხვათა შორის, ითვალისწინებს მოძველებული მოწყობილობის შეცვლას, ახალი ბაზრების ათვისებას და საწარმოთა დახურვას ან, პირიქით, მათ გაფართოებას. ფაქტობრივად ეს ყოველი კომპანიისათვის აღნიშნავს დიაგნოზის ინდივიდუალურ დასმას და "შეკრულბას". მეორე მხრივ პასიური რესტრუქტურირება აღნიშნავს საკმაოდ ზოგადი წესების ჩამოყალიბებას, რომლებიც გამოიყენება ყველა (თითქმის ყველა) კომპანიის მიმართ. იგი მოიცავს ყოფილი სახელმწიფო კომპანიის კორპორატიზაციას და მათი საბალანსო ანგარიშების მოწესრიგებას.

უმეტეს შემთხვევებში ამა თუ იმ ხარისხის პრივატიზებას წინ უსწრებს პასიური რესტრუქტურირება, რადგანაც პრივატიზება შეუძლიათ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც კერძო კორპორაციებად იარაღი ორგანიზებული. უფრო მეტიც, საჭირო იქნება ამ კომპანიების ზედპირზე შენარჩუნება ფინანსურად მანამდე, სანამ შესაძლებელი არ გახდება მათი პრივატიზება.

პირიქით, აქტიური ანუ ოპერაციული რესტრუქტურირება კი პრივატიზების შემდეგ უნდა ჩატარდეს. ამ სახის რესტრუქტურირების განხორციელება ყველაზე უკეთესად შეუძლია კერძო მესაკუთრეს, რადგანაც მან სახელმწიფო სააგენტოზე უკეთესად იცის, როგორი მოწყობილობა იყოდოს, რომელი ქარხნების დახურვაა საჭირო, რომლის გაფართოება, რომელი მუშაკების დაქირავებაა საჭირო და რომელთა დათხოვნა, თუ აუცილებელი გახდა, იდეალში სწორედ კერძო მესაკუთრე ფლობს იმ მმართველობით ჩვევებს, რაც აუცილებელია რესტრუქტურირების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და რაც აჭარბებს სახელმწიფო სააგენტოს შესაძლებლობებს. მას აგრეთვე, პირადი ჯანსაღი ინტერესი აქვს კომპანიის წარმატებაში, რადგანაც სასწორზეა მისი საკუთარი ფული. თუმცა, რაც შემთხვევებში "ტპა" იმდენად იყო ჩართული აქტიურ რესტრუქტურირებაში, რომ სააგენტო ავლენდა და ხურავდა საწარმოთა წამგებიან ქედანაყოფებს.

თუ კერძო ინვესტორების არყოლის გამო შეუძლებელია თავი ავარიდოთ "ტპას" საშუალებით აქტიურ რესტრუქტურირებას, მაშინ რესტრუქტურირება ნეიტრალური უნდა იყოს ინვესტორისადმი, ესე იგი არ უნდა იცვლებოდეს კონკრეტული ინვესტორის მოთხოვნებთან მიხედვით; იგი უფრო ერთნაირად მომზადებული უნდა იყოს ყველა

პოტენციური ინვესტორისათვის. რესტრუქტურირებაზე დანახარჯები მხოლოდ იმდენად შეიძლება დაიზოგოს, რამდენადც დაზოგავს მას საბოლოო მყიდველი, და რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში იქნებოდა აუცილებელი. მაგალითად, თუ ახალი ქარხანა პოტენციურ ინვესტორებს მეტისმეტად დიდი მოეჩვენებათ, ისინი უარს იტყვიან თანხა გადაიხადონ მთლიანი ობიექტისათვის. ამის ნაცვლად ისინი ან საჭირო ზომის ახალი ობიექტს ააშენებენ, ან არსებული სიმძლავრის იმ ნაწილისათვის გადაიხდიან, რაც ამაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

ბოლო ხანებში "ტპა" სულ უფრო მეტად ხვდება პოლიტიკური დაწოლის ქვეშ, რაც მას უბიძგებს აქტიური რესტრუქტურირება ჩატაროს წამგებიან კომპანიებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ლიკვიდაციის კანდიდატები გამხ-

შიძლება კორპორატიზაცია განხილულ იქნას როგორც წმინდა ფორმალური აქტი, მაგრამ მან საშუალება მისცა "ტპას" დეფინიციური მეთოდური საბუთები, რომლებსაც შემდგომ შეეძლოთ დაეპირაფებინათ ახალი მმართველები, ამგვარად იურიდიულმა რესტრუქტურირებამ მიგვიყვანა კორპორაციულ მართვაში უფლებამოსილებათა ახალ განაწილებამდე.

იურიდიული რესტრუქტურირების კიდევ ერთი ასპექტი იყო საკუთრების უფლების აღორძინება, რაც შეეხო კომპანიებსაც და კერძო პირებსაც. კომპანიების აქტივებზე უფლებები ნაწილდებოდა საერთო წესის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, აქტივების მომხმარებელი კომპანიები ხდებოდნენ მათი კანონიერი მესაკუთრენი. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა იმ კომპანიებს, რომლებსაც ჰქონდათ ბევრი უძრავი ქონება, იმ

საბალანსო ანგარიშების აქტის შესაბამისად, სიცოცხლისუნარიან კომპანიებს მიეცათ ეგრეთწოდებული "საკომპენსაციო სარჩელი" "ტპა"-სადმი აქტივებზე მათი ვალდებულებების გადაჭარბების თანხებზე. ამის გარდა შეერთების ხელშეკრულების პირობებით "ტპა" მოვალე იყო თავის თავზე აეღო ძველი ვალდებულების მიხედვით პროცენტების გადახდა ბანკების სასარგებლოდ. იგივე ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხანმოკლე მორატორიუმს ბანკებისათვის ვალდებულების ძირითადი თანხების გადახდაზე.

იმდენად რამდენადც კომპანიები ასევე ლიკვიდაციის უქმარისობასაც განიცდიდნენ "ტპა" გარანტიას იძლეოდა ახალ საბანკო კრედიტებზე კომპანიების სასარგებლოდ 30 მილიარდ გფრ მარკამდე საერთო თანხაზე. რაკი სულ თავიდან "ტპა"-ს არ გააჩნდა საიმედო ფინანსური ინფორმაცია თავის კომპანიებზე, იგი იძულებული იყო კრედიტების გარანტიები მიეცა ერთიანად ყველასათვის ცალკეული კომპანიების კონკრეტული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე. ამის შედეგად ნასესხები ფული სწორად იხარჯებოდა არა კომპანიების მომგებიანობის ასამაღლებლად არამედ - მუშაკთა გაბერილი შტატის ხელფასების გადასახდელად, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდა საიმედო ფინანსური ინფორმაცია, გარანტიების გაცემა დაიწყო ინდივიდუალურ საფუძველზე.

გ) ფინანსური ინფორმაციის უქმარისობის კომპენსაციისათვის კომპანიებს მოეთხოვებოდა წარედგინათ საწყისი საბალანსო ანგარიში გფრ მარკებში 1990 წლის 1 ივლისის მდგომარეობით. გფრ-ს მარკებში საბალანსო ანგარიშების კანონმა შემოიღო საბუღალტრო აღრიცხვისათვის დასავლური სტანდარტები და მოითხოვდა ობიექტურ სურათს აქტივთა ღირებულებებსა და საქმიან რისკზე, რაც ამა თუ იმ კომპანიებს ახასიათებდა.

გარდა ამისა, კომპანიები მოვალენი იყვნენ წარედგინათ წლიური ანგარიშები, როგორც ითვალისწინებდა გერმანიის კომერციული კოდექსი, და ყოველკვარტალური ანგარიშები - "ტპა"-ს ბრძანებით. სწორედ ამით ჩაეყარა საფუძველი პერიოდული ანგარიშების ობიექტურ სისტემას. რაკი ანგარიში მოიცავდა ანგარიშგებას შემოსავლებსა და დანაკარგებს, კომპანიებმა პირველად მიიღეს (შედარებით) რეალისტური სურათი თავისი საწარმოო დანახარჯების შესახებ.

ა) ბიზნეს-გეგმების დამუშავება ცალკეული კომპანიებისათვის პირველი ნაბიჯია ოპერაციული ანუ აქტიური რესტრუქტურირებისაკენ. "ტპამ" ყველა თავის კომპანიის მოსთხოვა ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა იმისათვის, რომ ცალკეული კომპანიების ხელმძღვანელებისათვის მიეცა საშუალება დაემტკიცებინათ თავიანთი შესაძლებლობები. მაგრამ, პირველ საწყისი გეგმები ძირითადად ბაზისის როლს ასრულებდნენ კომპანიების რეკაპი-

ტალიზაციისათვის. ბიზნეს-გეგმებს უნდა მოეცვათ პროგნოზები ბრუნვის, ხარჯების, მოგების, რაოდენობისა და საშუალო ადგილების ტიპთა, ინვესტიციებისა და ფინანსირების თაობაზე. მაღალი დონის ექსპერტთა ჩვენება შემდეგ შეამოწმა წარმოდგენილი გეგმები და რანჟირება გაუკეთა კომპანიებს მათი სიცოცხლისუნარიანობის შესაბამისად.

თუ კომპანიის ბიზნეს-გეგმა მოწონებული იყო, იგი იღებდა ფინანსურ დახმარებას. ასეთი დახმარება ხშირად გაპირობებული იყო წამგებიანი ქვედანაყოფების დახურვით. კომპანიებს, ჩვეულებრივ, ეძლეოდათ თანხა, რომელიც ტოლი იყო იმავე დარგის შესაბამისი დასავლეთგერმანული კომპანიის საშუალო კაპიტალისა (ეგრეთწოდებული რეკაპიტალიზაცია). ამას გარდა, შესწორებები გაკეთდა მომავალ, 1993 წლის დეკემბრამდე პერიოდის ზარალზე.

უმრავლეს შემთხვევაში რეკაპიტალიზაცია არ ითვალისწინებდა ახალი კაპიტალის შერწყმას. ამის ნაცვლად "ტპა" თავის თავზე იღებდა ძველ დავალიანებას, ე. ი. საბანკო კრედიტებს 1990 წლის 1 ივლისის მდგომარეობით (ამ დავალიანების საერთო ოდენობა ფასდება 70-80 მილიარდ გფრ მარკად). "ტპა" თავს არიდებდა ფულის (დიდი თანხის) გაცემას ახალი წარმოებების შესაქმნელად ან სხვა ინვესტიციებზე, რადგანაც შიშობდა, რომ მიღებული იქნებოდა ისეთი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც ან არაგონივრული ან არამომზიდველი იქნებოდა პოტენციური ინვესტირებისათვის.

ბ) მეორე ნაბიჯი ოპერაციული რესტრუქტურირებისაკენ იყო კოლოსალური კომბინატების დანაწევრება, "ტპამ" მემკვიდრეობად მიიღო 8000 იურიდიული პირი, თითოეულში შედიოდა საშუალოდ 5 ან 6 საწარმოო ობიექტი. ამ კომპანიების, პირველ რიგში 200 ცენტრალიზებული მმართველი კომბინატის დანაწევრებამ, მიგვიყვანა 5000-ზე მეტი ახალი კომპანიის წარმოქმნამდე, და ამგვარად "ტპას" იურისდიქციის ქვეშ მყოფი კომპანიების საერთო რიცხვა 13 000-ს გადაჭარბა. ამას გარდა, "ტპამ" ჩატარა გამოუყენებელი აქტივების გაყიდვა, განსაკუთრებით მიწისა, და წაახალისა აქტივთა გამოცალკეება (დამხმარე სიმძლავრეთა მენეჯმენტების გამოყენება), რათა ხელი შეეწყო ბიზნესის ახალ სახეობათა განვითარებისათვის.

აუთვისებელი მიწების გაყიდვა, წამგებიანი საწარმოო სიმძლავრეების დახურვა და კომბინატების დანაწევრება ხელს უწყობდა იმას, რომ კომპანიების ყურადღება გამახვილებულიყო მათი საქმიანობის ძირითად სახეობებზე.

გ) მთლიანობაში "ტპა"-ს საქმიანობა თავდაპირველად მიმართული იყო პასიური რესტრუქტურირების ღონისძიებებზე, და რაც შეეხება აქტიურ რესტრუქტურირებას, იგი ძირითადად შემოიფარგლებოდა მოსამზადებელი, ნეიტრალური ნაბიჯებით ინვესტორთან მიმართებაში და კომპანიის მენეჯმენტის კონტროლით.

ფიქვენარ შოთი და ბარბარა რილი
რესტრუქტურირება გერმანიაში

დარიყვნენ. პოლიტიკური ზეწოლა გასაგები ჩანს უმუშევრობის საშუალო დონის გათვალისწინებით, რაც თითქმის 45 პროცენტს შეადგენს (ხელახლა მომზადებულთა, სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამით დასაქმებულთა ან ვადამდე აღრე იძულებით პენსიაზე გასულთა და სხვათა 30-35 პროცენტის ჩათვლით). პრაქტიკულად ზოგი კომპანია რესტრუქტურირდება, თუმცა არა ჰყავდათ კერძო ინვესტორები, არც კომპანია გამოიყურებოდა სიცოცხლისუნარიანად, უკიდურეს შემთხვევაში მოკლევადიან პერსპექტივაში. მაგრამ რესტრუქტურირება საჭირო გახდა იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებლად ითვლებოდა მათი რეგონების ეკონომიკური სტრუქტურისათვის.

თუმცა არ შეიძლება ზედმეტად შეფასდეს იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ოდესმე შეიძლება "ტპას" მხრივ აქტიურ რესტრუქტურირებას დაემორჩილონ. თავის დროზე არსებული 13000 სახელმწიფო საწარმოდან, ყველამ გარდა 500-ისა, უკვე მიადგინა აქტიური მოლაპარაკების სტილიას გაყიდვის თაობაზე, ან გაიყიდა. უფრო მეტიც, "ტპას" კომპანიები უკვე აღარ შეადგენენ აღმოსავლეთ გერმანიის სამუშაო ძალების 40 პროცენტს, როგორც 1990 წელს იყო, ამჟამად მათში დასაქმებულია სამუშაო ძალის დაახლოებით 5 პროცენტი.

საჭიროა ითქვას, რომ იმ კომპანიათა შორის, რომლებიც "ტპას" უკავია, ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე კერკეტა კაკალი. მათ შორის არიან კომპანიები, რომელთა წაგება მათი ბრუნვის 30 პროცენტს და მეტს შეადგენს.

2. პასიური (იურიდიული და ფინანსური) რესტრუქტურირება

ა) იურიდიული რესტრუქტურირება მოიცავს, პირველ რიგში, და ეს არის უმთავრესი, კორპორატიზაციას, ე. ი. სახელმწიფო კომპანიების კერძოდ გადაკეთებას. გერმანიაში ეს ხდებოდა კანონის შესაბამისად. "ტპა" იქცა ყველა ასეთი კომპანიის ერთადერთ აქციონერად.

კომპანიების საპირისპიროდ, რომლებიც კრედიტით იძენდნენ მოწყობილობებს).

თეორიულად საკუთრების უფლების შექმნას ხელი უნდა შეეწყოს კომპანიების სადაზღვევო უზრუნველყოფისათვის ბანკის კრედიტების მიღებისას, და ან ნება მიეცა მათთვის ფული ამოეღოთ აქტივების გაყიდვით. მაგრამ საერთო წესმა, რომელიც დამტკიცდა კანონმდებლობამ და რომლის მიხედვითაც წინააღმდეგ მესაკუთრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ თავიანთი საკუთრების "ნატურით" დაბრუნება, უზარმაზარი დაბრკოლება წამოაყენა ახლადშექმნილი საკუთრების უფლების ეკონომიკური გამოყენების გზაზე.

ბ) უმრავლეს შემთხვევაში "ტპა" იძულებული იყო ჩაეტარებინა გარკვეული ფინანსური რესტრუქტურირება. ასეთი დახმარების გარეშე მთელი კომპანიები დაახლოებით 10 პროცენტი თუ შეძლება თავის გადაჩენას გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. მთელი კომპანიების 70 პროცენტს ესაჭიროებოდა ფინანსური დახმარება და აფასებდა მას.

აღმოსავლეთ გერმანიაში ბაზრების დაკარგვისა და დასავლეთის კომპანიების მხრიდან მკაცრი კონკურენციის გარდა, აღმოსავლეთ გერმანიის უმეტესი კომპანიები მწვავე ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ ვალუტების გაერთიანების შედეგად. 1990 წელს აღმოსავლეთ გერმანიაში ვალუტად იქცა დასავლეთგერმანული მარკა. ამასთან ერთად გაცვლითი კურსი განისაზღვრა 2 აღმოსავლური მარკით 1 დასავლურზე. ამის შედეგად წარმოიშვა კომპანიების სავალუტო დავალიანებები - მარტო საკრედიტო დაწესებულებებისათვის გფრ-ს 100 მილიარდი მარკის დონეზე. ამას გარდა დაგროვდა ვალდებულებები უზარმაზარი თანხა ერთი კომპანიების მფარველებისადმი. ამგვარად რთულ პირობებში იქცა კომპანიათა უმეტესობის გადაჭარბებული სავალუტო დავალიანება. საჭირო იყო ზომების მიღება გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. ამიტომ გფრ-ის მარკებში

3. აქტიური რესტრუქტურირებისაკენ

ა. ბიზნეს-გეგმების დამუშავება ცალკეული კომპანიებისათვის პირველი ნაბიჯია ოპერაციული ანუ აქტიური რესტრუქტურირებისაკენ. "ტპამ" ყველა თავის კომპანიის მოსთხოვა ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა იმისათვის, რომ ცალკეული კომპანიების ხელმძღვანელებისათვის მიეცა საშუალება დაემტკიცებინათ თავიანთი შესაძლებლობები. მაგრამ, პირველ საწყისი გეგმები ძირითადად ბაზისის როლს ასრულებდნენ კომპანიების რეკაპი-

კანონი „კანონი და საჯარო შესახებ“

კომანდიტური საზოგადოება
ინდივიდუალური საწარმო, რომელიც პასუხისმგებელია ერთი ფიზიკური პირი მთელი თავისი ქონებით და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც პასუხისმგებელია რამდენიმე ფიზიკური პირი ასევე თავიანთი ქონებით, ერთად - სოლიდარულად. კომანდიტური საზოგადოების სახით კი საქმე გვაქვს ამ ორი ფორმის უფრო გაფართოებულ ვარიანტთან; ერთ ან რამდენიმე ფიზიკურ პირთან, როგორც იტყვიან, საქმეში შედის მესამე პირი, მაგრამ არა თავისი ქონებით, არამედ კაპიტალით - თანხით.

შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა, რომ ეს ფორმა არის პირთა საზოგადოების და კაპიტალ საზოგადოების სინთეზი, მაგრამ რადგანაც კანონის თანახმად ძირითადი პასუხისმგებლობა და წარმოების მართვა აკისრიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს "კომპლემენტარებს", ეს არის პირთა საზოგადოება და სამართლებრივ ასპექტში გამოდის ისევე, როგორც გემით მოხსენებული საზოგადოებები.

ამრიგად, კომანდიტური საზოგადოების წევრები არიან ერთი მხრივ ერთი ან რამდენიმე პარტნიორი, რომელთა პასუხისმგებლობა შემზღვეულია მხოლოდ შეგანილი თანხით-კომანდიტებით, მეორეს მხრივ პარტნიორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მთელი თავისი ქონებით შეუზღვევად - კომპლემენტარები, როგორც ყველა საზოგადოებას. კომანდიტურ საზოგადოებასაც ესაჭიროება რეგისტრაცია. პირველ რიგში საჭიროა განსხვავება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) საფირმო სახელწოდებას - ამ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს

არანაკლებ ერთი პერსონალური პასუხისმგებლის პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარს "კს"-ის დამატებით.

ბ) ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას - კომანდიტური საზოგადოება;

გ) ადგილსამყოფელი - საზოგადოების ცენტრალური ოფისის მისამართი;

დ) საქმიანობის საგანი - ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც კანონით აკრძალული არ არის ან მიღებულია სათანადო ლიცენზია;

ე) მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისის და დამთავრების შესახებ. ეხება ძირითადად იმ საწარმოებს, რომლებიც არიან ადრე რეგისტრირებულ საწარმოთა სამართლებრივ კვირებში;

ვ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის გვარს, სახელს, დაბადების ადგილს და თარიღს, პროფესიას და საცხოვრებელ ადგილს;

ზ) წარმომადგენლობის უფლებამოსილებას - კანონის თანახმად "კს" წესდებაში შესაძლებელია არსებობდეს, ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მინიმუმ ერთი ცენტრის ცნობა ყველა წარმომადგენელზე, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათ შიგნით არ ყოფილა გამოყენებული სასაქონლო ქონებრივი დანაშაულისათვის;

თ) კომანდიტებმა უნდა წარადგინონ საბუთი შესატანის ოდენობის თაობაზე, ხოლო თანხის ნახევარი

შეგანილი უნდა იყოს წესდებაზე ხელმოწერისთანავე.

განცხადებასთან ერთად საჭიროა წესდება, რომელიც დამკვიდრებული უნდა იყოს სანოტარო წესით, რაზეც ხელს აწერს ყველა პარტნიორი. ყველა მოხსენებულ საბუთს კომპლემენტარი წარადგინოს სასამართლოში საზოგადოების ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელთა საფუძველზე სასამართლო საწარმოს ატარებს სამეწარმეო რეესტრში (იხილეთ დანართი № 1), აცნობებს ადგილობრივ სტატისტიკის სამსახურს და აქვეყნებს რეესტრს რესპუბლიკის გაზეთებში. სასამართლომ ეს პროცედურა უნდა ჩაატაროს ერთი კვირის ვადაში. თუ ამ ხნის მანძილზე განმცხადებელს არ ეცნობა უარი რეგისტრაციის თაობაზე, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად.

კომანდიტური საზოგადოების შექმნის დროს პარტნიორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციონ წესდების შედგენას, რადგანაც იგი დაარეგულირებს უფლებრივ საკითხებს პარტნიორებს შორის თუ სოლიდურ პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ, მაგრამ მაინც მათ ურთიერთობას საზღვრავდა. მითუმეტეს ეს აუცილებელია "კს"-ის პირობებში, როდესაც პარტნიორებს სხვადასხვა უფლებები და ვალდებულებები გააჩნიათ. მართალია კანონი მთელ რიგ საკითხებს თვალს არ აჩვენებს, მაგრამ ფუნქციონირება მნიშვნელოვანი ნაწილი თავად პარტნიორებმა უნდა განსაზღვრონ. წესდებას ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ფუნქცია გააჩნია.

კანონი თავის მხრივ ითვალისწინებს: კომანდიტი არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში და არ ერევა სამეურნეო საქმიანობაში იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საქმე სცილდება ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის საზღვრებს.

საკითხს წყვეტს პარტნიორთა კრება: კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე. თუ ერთ-ერთ კომანდიტს წესდება მიანიჭებს იურიდიული მნიშვნელობის საქმიანობის უფლებას იგი პასუხს ატებს როგორც შემზღვეული პასუხისმგებლობის ღირეფტორი (იხილეთ გამოთვლის შემდგომი ნომერი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელი არ არის კომანდიტი საზოგადოებაში შევიდეს ნაღდი ფულით. დასაშვებია, რომ მან თავისი წილის სახით წარმოადგინოს რაიმე ქონება, მაგრამ იგი შეფასებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება ყოველი პარტნიორის წილი.

ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგება ამისათვის საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება შესაბამისად უფრო დაბალი პროცენტით. უფრო მაღალი მოგების განაწილება განსაზღვრული უნდა იყოს წესდებით.

თითოეულ კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი წილის შესაბამისი

მოგების მოთხოვნის უფლება. ამ წესი რაიმე მიზეზის გამო ზარალის შედეგად ან წილის შეუკანალობის გამო დათქმულ თანხაზე ნაკლებია, იგი მოგებას მიიღებს მხოლოდ ფაქტური წილის მიხედვით.

ამავე დროს კომანდიტი კრედიტორების წინაშე ვალდებულია სამეწარმეო რეესტრში აღნიშნული თანხით, მიუხედავად იმისა იმ დროისათვის ეს თანხა პრაქტიკულად შეგანილია თუ არა. იმ შემთხვევაში კი როდესაც კომანდიტის წილი იყო არაფულადი შესატანი და ის სახეზე არ არსებობს, კომანდიტმა იგი შესაბამისი ფულადი თანხით უნდა დაფაროს. კომანდიტს პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე შეუძლია თავისი წილი გადასცეს სხვა პირს ნოტარუსით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შემოთ ჩვენ ძირითადად განვიხილავთ კომანდიტის უფლებებს. თუმცა კომპლემენტარის უფლებები და მოვალეობები უფრო ფართოა. ხოლო რადგანაც კომპლემენტარს "კს"-ში გააჩნია იგივე უფლება-მოვალეობანი, რაც სოლიდურ პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ გამოთვლის მე-15 ნომერში. აქედან გამომდინარე ჩვენ ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებით.

თუ პატივცემულ მკითხველს ექნება რაიმე შეკითხვები ან სურვილები, მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ. ჩვენ შევეცდებით გამოთვლის შემდგომ ნომერში გიპასუხოთ.

რუბრიკა მიჰყავს ეკონომიკის ქრისტიანული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრს
შალვა ნოზაძეს

სარეგისტრაციო ბარათი (ნიმუში) კომანდიტური საზოგადოებისათვის

რიგითი ნომერი	თარიღი	კომანდიტების სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი; პროფესია, მისამართი და მათი საგარანტიო შესატანი; აუცილებელია როგორც კომანდიტისგან აღნიშვნა	წარმომადგენლობა კომპლემენტარის მიერ	საეაჭრო წარმომადგენლები (პრიკურისგები)
---------------	--------	---	-------------------------------------	--

პასუხები შეკითხვებზე

როგორც ჩანს ჩვენი გამოთვლის ყველა მკითხველი თავიანთი ადრეველა თვალყურს სტატიების ციკლს შეწარმოებდა შესახებ. ამჟამად ჩვენ სიამოვნებით გასახუბობთ მათ შეკითხვებზე.


1. საჭიროა თუ არა უკვე არსებულ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია? როდის არის რეგისტრაციის ბოლო ვადა?

პასუხი: საქართველოს პარლამენტის დადგენილების 2 მუხლში ნათქვამია: "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის

ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე".

2. როგორ უნდა შეფასდეს შესატანი ქონება?

პასუხი: როგორც ჩვენთვის ცნობილია შესაბამისი დადგენილება მზადდება მინისტრთა კაბინეტში და იმედია მას მალე ეხილავთ კანონისათვის საჭირო სხვა კანონქვემდებარე აქტებთან ერთად. ჩვენ კი ჩვენის მხრივ შევეცდებით მას შესახებ მოგაწოდოთ ინფორმაცია.



პროფული პალუტის კურსი მუარია

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ეროვნული ვალუტის - ლარის კურსი მყარად ინარჩუნებს სიმტკიცეს. 29 ნოემბრისათვის ამერიკულ დოლართან მისი შეფარდება შეადგენდა 1,2500-ს. კურსის სიმტკიცეს დიდად უწყობს ხელს ლარის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გადაქცევა.

ვაუჩერის კურსი გაიზარდა

როგორც რესპუბლიკური სააქციონერო ცენტრის სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ დღეებში უნდა ამაღლდეს ვაუჩერის კურსი. ეს პირველ ყოვლისა, მოხდება შავ ბაზარზე. ვაუჩერის კურსის ამაღლებას ხელს შეუ-

წყობს საბარათო აუქციონზე სააქციონერო საზოგადოება "ჭიბთურმარ-განციის" აქციითა პაკეტების გამოგანა. ამ აქციების დასაფარავად საჭიროა ნახევარ მილიონზე მეტი ვაუჩერი.

ათვისაგულია ნახევარ მილიონზე მეტი ვაუჩერი

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ ემირ ჯულემა ამასწინათ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რესპუბლიკაში უკვე დასაქონლებულია 644.679 ვაუჩერი. როგორც მინისტრის მოადგილემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ყველაზე მაღალი კურსი მქონდა სააქციო საზოგადოე-

ბა "საქნავთობპროდუქტის" აქციებს. ამასთან პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ წლის ბოლოდან ყოველ პარასკევს გაიმართება საჩიკო აუქციონები, რომლებზეც გამოგანილი იქნება წინა აუქციონების დროს გაუყიდავი აქციები. მათი ნუსხა დაბეჭდილია ჩვენი გამოთვლის დღევანდელი ნომრის მეორე-მესამე გვერდზე.

ვაუჩის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე“ რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0093

ვაუჩი ხელმძღვანელობს თავისუფალი ბრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბუქად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ხანვლებისა და გვარების ხიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ ატებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ეთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახს 7 გვერდზე ვრცელ წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბუქად 1.XII.95 წ.

პრივატიზაციის მაცნე
0644630 66630

რედაქციის მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გამთი დაიბეჭდა
ეურნალ-გამთეების გამოცემლობა
"საშობლოში" შ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია